საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 01-01/04

ქ. თბილისი 10.05.2023 წ.

სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ობსერვატორიაში შესვლისა და გადაადგილების თავისებურებების შესახებ

2023 წელს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (შემდეგში - „ობსერვატორია“) დაგეგმილია მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. კერძოდ, ტელესკოპ AZT-11-ისა და მისი გუმბათის დემონტაჟი და შემდგომ ახალი ტელესკოპისა და გუმბათის მონტაჟი; ე.წ. სასადილოს შენობის სრული რეაბილიტაცია და რემონტი; ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე ღობის მოწყობა და ახალი ჭიშკრის მონტაჟი; დროებითი სასაწყობო ლოკაციებისა და ელექტრო ქსელის მოწყობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) ინტენსიურად განხორციელდება სადემონტაჟო, სამშენებლო-სარემონტო, გადაზიდვა-დასაწყობების სამუშაოები, მათ შორის სხვადასხვა სახის მძიმე ტექნიკის (ტრაქტორი, ამწე და ა.შ.) გამოყენებით.

შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოების წარმოების განმავლობაში, 2023 წლის ბოლომდე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაუბრკოლებლად და წარმატებით განხორციელების, ასევე ობსერვატორიის ტერიტორიაზე მყოფი პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის პრევენციის მიზნით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ პუნქტების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული ობსერვატორიის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ და „ტ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ტექნიკური

უზრუნველყოფის და განვითარების დეპარტამენტის უფროსის, თ. კვერნაძისა და სამეურნეო და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, თ. ბარბლიშვილის ერთობლივი მოხსენებითი ბარათის (№408755, 11.04.2023 წ.), აგრეთვე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროექტების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, ზ. რაზმაძის წერილისა (#514493, 08.05.2023 წ.) და სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის, გ. ციბაძის წერილის (#451462, 25.04.2023 წ.) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დადგინდეს **სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების განსხვავებული წესი,** წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანებით დადგენილი რეგულაციები წარმოადგენენ **დროებით ღონისძიებას.**
3. წინამდებარე ბრძანების მოქმედების განმავლობაში **ძალაშია** „სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე **უცხო პირთა შესვლისა და გადაადგილების პირობების** დამტკიცების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №03-04/03 ბრძანება, აგრეთვე, **„შინაგანაწესის** დამტკიცების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2022 წლის 16 თებერვალს №01-01/06 ბრძანება, წინამდებარე ბრძანებით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.
4. განისაზღვროს ბრძანების აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირად **(უფლებამოსილი პირი**) მთავარი ასტრონომ-მენეჯერი, **ვ. ყულიჯანიშვილი.**
5. **ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ.**
6. ბრძანება ძალაშია 2023 წლის **10 მაისიდან 31 დეკემბრის** ჩათვლით.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი **რევაზ ჭანიშვილი**

სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების განსხვავებული წესი

1. აკრძალულია ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) უცხო პირთა (პირები, რომლებიც ობსერვატორიაში არ არიან დასაქმებულნი) შესვლა და გადაადგილება. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე:
   ა) რომლებიც სარგებლობენ ობსერვატორიის საექსკურსიო მომსახურებით. მათი გადაადგილების არეალი შემოიფარგლება მხოლოდ რეფრაქტორის შენობისა და გლაზენაპის კოშკის ლოკაციებით;
   ბ) რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულნი არიან ობსერვატორიაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან და არსებობს ობსერვატორიის უფლებამოსილი პირის თანხმობა ტერიტორიაზე მათი დაშვების შესახებ.
2. თანამშრომლებს, რომელთა ძირითად სამუშაო ადგილს წარმოადგენს ობსერვატორიის თბილისის ოფისი, ეთხოვოთ მაქსიმალურად თავი შეიკავონ ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) ვიზიტისგან. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ობსერვატორიის დირექტორის თანხმობით, სამსახურებრივი ან სხვა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. ამისათვისაც თანამშრომელმა ობსერვატორიის დირექტორს უნდა მიმართოს მოხსენებითი ბარათით, ვიზიტის მიზეზის და ვადის მითითებით. ასეთი თანხმობის გარეშე იგი ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) არ დაიშვება.
3. იმ თანამშრომლის ოჯახის წევრის ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) სტუმრობისთვის, რომლის ძირითად სამუშაო ადგილს წარმოადგენს ეს ტერიტორია, სავალდებულოა შესაბამისმა თანამშრომელმა მოხსენებითი ბარათით მიმართოს დირექტორს სტუმრის (ოჯახის წევრის) ვინაობის და სტუმრობის ვადის მითითებით. ობსერვატორიის დირექტორის თანხმობის გარეშე სტუმარი (ოჯახის წევრი) ობსერვატორიაში არ დაიშვება. თანამშრომელი პასუხისმგებელია მისი სტუმრის მიერ ობსერვატორიის შინაგანაწესის და წინამდებარე დროებითი ღონისძიების მოთხოვნების შესრულებაზე.
4. მთა ყანობილზე, ობსერვატორიის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს ადმინისტრაციის/უფლებამოსილი პირის და ობსერვატორიის დაცვის წარმომადგენლის კანონიერ მითითებებს, ტერიტორიაზე განთავსებულ გამაფრთხილებელ და ამკრძალავ ნიშნებს, ითანამშრომლოს ობსერვატორიასთან და გაგებით მოეკიდოს დადგენილ შეზღუდვებს შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად უსაფრთხო სამუშაო/საარსებო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის.
5. წინამდებარე პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ობსერვატორია უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ყველა საჭირო ღონისძიება, მათ შორის განახორციელოს სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება.